

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამთა ნადირაშვილი

ლექსიკაზე მუშაობის სტრატეგიები და ხერხები ინგლისურის
(როგორც უცხო ენის) სწავლებისას უმაღლეს სასწავლებლებში

განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად მასწავლებლის განათლებაში
(სპეციალობა: ინგლისური ენის სწავლების მეთოდოდიკა)

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თელავი

2015

სამუშაო შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ირა დანელია

განათლების დოქტორი, ასოც. პროფ.

რეცენზენტები:

თამარ მიქელაძე

განათლების დოქტორი, ასოც. პროფ.

მაია ჩქოტუა

განათლების მეცნიერებათა დოქ., ასოც. პროფ.

დაცვა შედგება 20____ წლის "_____" _____, _____ საათზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე: მეორე კორპუსი, 12-ე აუდიტორია.

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1

ტელ: +995 350 27 11 76, 27 32 67

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე : <http://tesau.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: _____ასოც. პროფ. **ნინო ბასილაშვილი**

დისერტაციის ძირითადი შინაარსი

უცხოური ენის (განსაკუთრებით ინგლისურის) გარეშე დღესდღეობით წარმოუდგენელია ცხოვრება. ინგლისური აუცილებელია ურთიერთობისა თუ საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. შესაბამისად, მისი, როგორც უცხოური ენის შესწავლა იწყება პირველივე კლასიდან 2011-2016 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011) მიხედვით და გრძელდება უმაღლეს სასწავლებლებში როგორც ენის დეპარტამენტებში ასევე სხვა ფაკულტეტებზე როგორც სამეცნიერო, ისე საკომუნიკაციო კომპეტენციის ამაღლების თვალსაზრისით; კომუნიკაციისთვის საჭირო ლექსიკური მარაგის ათვისების შესაბამისი სტრატეგიების არასაკმარისი ცოდნის გაღრმავების მიზნით. ლექსიკაა ის მთავარი ფაქტორი, რომლის გარშემოც თავს იყრის ენობრივ მოვლენებზე მუშაობა და სიტყვათა მარაგის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი ტიპის ენობრივი კომუნიკაციის განხორციელება. შესაბამისად, იკვეთება ჩვენი **საკვლევი თემის აქტუალობა**, რომელსაც წარმოადგენს ინგლისური ენის ლექსიკის სწავლა-/სწავლების სტრატეგიებისა და ხერხების შესწავლა თანამედროვე ეტაპზე.

აქედან გამომდინარე, **კვლევის საგანს** წარმოადგენს შემსწავლელებისა და მასწავლებლების მიერ ინგლისური ენის ლექსიკაზე მუშაობისას უმაღლეს სასწავლებლებში გამოყენებული სტრატეგიები და ხერხები.

კვლევის ობიექტია უცხოურ (ინგლისურ) ენაზე ლექსიკის სწავლა-/სწავლების პროცესი საქართველოს/თბილისის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის არაპროფილურ ფაკულტეტებზე (ბიზნესის ადმინისტრირება და მართვა; სოციალური მეცნიერებები) მისი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

ამის გათვალისწინებით და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა **ჰიპოთეზა**, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ინგლისური ენის ლექსიკის შესწავლის ეფექტურობა მნიშვნელოვნად გაიზრდება

და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს გაუმჯობესდებოთ ლექსიკური მარაგი თუ:

- ✓ სასწავლო პროცესში მაქსიმალურად გავითვალისწინებთ შემსწავლელთა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ და ასაკობრივ თავისებურებებს;
- ✓ ინგლისური ენის შემსწავლელები მოცემულ ეტაპზე გამოიყენებენ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით გათვალისწინებულ სტრატეგიებსა (კოგნიტურ, მეტაკოგნიტურ, დამახსოვრების, მნიშვნელობის გაგების და ა.შ.) და მომზადებულ მასალას ლექსიკაზე მუშაობის პროცესში.
- ✓ შევქმნით ლექსიკური მასალის მიწოდებისა და განმტკიცების სწორ გზებსა და ხერხებს ლექსიკის შესწავლის სტრატეგიების გაცნობითა და სათანადო სავარჯიშოებზე დაყრდნობით.

დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები: იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში გაიზარდოს ლექსიკის სწავლა/სწავლების ეფექტურობა ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას, საჭიროა:

- ✓ შემსწავლელები და მასწავლებლები იცნობდნენ და იყენებდნენ ენის ლექსიკაზე მუშაობისას ყველაზე გავრცელებულ სტრატეგიებსა და ხერხებს;
- ✓ ენის ლექსიკის სწრაფად და უკეთ ასათვისებლად მეთოდების სწორად შერჩევა;
- ✓ განისაზღვროს დამოკიდებულება ინგლისური ენის ლექსიკის შესწავლის მიმართ;
- ✓ ისე წარიმართოს სწავლების პროცესი, რომ სტუდენტები დამოუკიდებლად ახერხებდნენ სტრატეგიების საშუალებით ლექსიკის შესწავლას;
- ✓ განისაზღვროს დაეხმარება თუ არა ეს სტრატეგიები და ხერხები მათ მიზნის მიღწევაში;

- ✓ ყურადღება მიექცეს როგორ არის მოწყობილი უცხო ენის შემსწავლელის მენტალური ლექსიკონი და როგორ ვითარდება ის პერიოდულად;
- ✓ განავითაროს სიტყვათა შესწავლის ის სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება იმ დეფიციტის დაძლევაში, რომელსაც სიტყვის ცოდნა ჰქვია, როგორც ახალი, ასევე ნაცნობი სიტყვის უცნაურ/ განსხვავებულ, მიუჩვეველ კონტექსტში გამოყენებისას;
- ✓ როგორ შეიძლება შემსწავლელთა ინგლისური ენის, კერძოდ ლექსიკის შესწავლის უნარის განვითარება საქართველოში და სასურველი შედეგების მიღწევა.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს:

- ✓ შევისწავლოთ, რა დადებით გავლენას ახდენს ინგლისური ენის ლექსიკის ათვისებაზე ლექსიკის შემსწავლელი სტრატეგიები და ხერხები;
- ✓ სწავლის პროცესის ოპტიმიზაციის გზების ძიება შემსწავლელთა (სტუდენტთა) ლექსიკის ფლობის დონის ამაღლების მიზნით, რისთვისაც აუცილებელია:
 - ინდივიდუალური განსხვავებების კომპონენტების გამოვლენა;
 - სწავლების სტრატეგიებისა და ხერხების დადგენა და სისტემური ანალიზი.
- ✓ დავადგინოთ, რა სტრატეგიებს იყენებენ სტუდენტები ახალი სიტყვების შესწავლისას მოცემულ ეტაპზე და გავაცნოთ მათ სხვა სტრატეგიები, რომლებიც მისცემს საშუალებას შეარჩიონ ყველაზე რელევანტური მათი სწავლის სტილისა და პიროვნული მახასიათებლების შესაბამისად.
- ✓ სტუდენტთა მიერ გამოყენებული სტრატეგიების ანალიზის საფუძველზე მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება; პრაქტიკული და თეორიული რეკომენდაციების მიცემა მასწავლებლებისთვის მათი

კვლიზიკაციის ამაღლებისა და სტუდენტთა სწავლის ხარისხის, კერძოდ ლექსიკის სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

გამოიკვეთა კვლევასთან დაკავშირებული შემდეგი კითხვები:

1. არის თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავება სტუდენტთა სწავლის მიმართ დამოკიდებულების მხრივ ლექსიკის შესწავლისას კონტექსტის „გასაღების“ (contextual clues), ლექსიკონზე მუშაობისა და საკვანძო სიტყვის (key word) სტრატეგიების, ლოკისა და “მიბმის“ (peg) მეთოდების, სიტყვათა ბარათების, აფიქსაციის გამოყენების შემდეგ?
2. რა უპირატესობას/სარგებლობას იღებენ შემსწავლელები სამიზნე სიტყვების შესწავლისას კონტექსტის „გასაღების“ (contextual clues), ლექსიკონზე მუშაობისა და საკვანძო სიტყვის (key word) სტრატეგიების, ლოკისა და “მიბმის“ (peg) მეთოდების, სიტყვათა ბარათების, აფიქსაციის გამოყენების შემდეგ?
3. რა სირთულეებს აწყდებიან შემსწავლელები სამიზნე სიტყვების შესწავლისას კონტექსტის „გასაღების“ (contextual clues), ლექსიკონზე მუშაობისა და საკვანძო სიტყვის (key word) სტრატეგიების, ლოკისა და “მიბმის“ (peg) მეთოდების, სიტყვათა ბარათების, აფიქსაციის გამოყენებისას?

ნაშრომში ეტაპობრივადაა გადაჭრილი შემდეგი ამოცანები:

1. **მეთოდურ ასპექტში**–ინგლისური ენის ლექსიკის სწავლების სფეროში დღეისათვის არსებული მდგომარეობა, მისი სწავლების ეტაპები, ლექსიკაზე მუშაობისთვის ეფექტური სტრატეგიებისა და სავარჯიშოების შერჩევა და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების გაწევა.
2. **ფსიქო-ლინგვისტურ ასპექტში**–სასწავლო პროცესის მისადაგება მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან, სწავლის მოტივაციის გაზრდა, ლექსიკის შესწავლასთან დაკავშირებული სტრატეგიებისა და ხერხების თავისებურებების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, მასალის ანალიზი.

კვლევის მეთოდები: ზემოთ განხილული პრობლემების გადასაჭრელად შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩო ასე გამოიყურება:

- შესასწავლი პრობლემის გარშემო არსებული პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და მეთოდოლოგიური ლიტერატურისა და გამოცდილების განხილვა და კრიტიკული ანალიზი;
- ექსპერიმენტული სწავლება (რაოდენობივი კვლევა):
 - ✓ უმაღლეს სასწავლებლებში ლექსიკის შესწავლის სტრატეგიებთან და ხერხებთან დაკავშირებული კითხვარებით მასწავლებლებისა და სტუდენტების ანკეტირება;
 - ✓ ექსპერიმენტი (მინი, ხანგრძლივი);
 - ✓ ინტერვიუება (ექსპერიმენტის შემდგომი ინტერვიუ/კითხვარი შთაბეჭდილების გაზიარების მიზნით);
 - ✓ კითხვარების შევსება და მიღებული შედეგების დამუშავება:
- სტუდენტთა ლექსიკის შესწავლისა და სტრატეგიების მიმართ დამოკიდებულების გამოსავლენი კითხვარი;
- მასწავლებელთა ლექსიკის სწავლების მიმართ დამოკიდებულების გამოსავლენი კითხვარი;
- ექსპერიმენტში მონაწილე შემსწავლელთა სწავლის სტილის გამოსავლენი კითხვარი;
- სტუდენტებისთვის წინასაექსპერიმენტო ე.წ. ენის ცოდნის დონის დასადგენი ტესტი (Total English placement test);
- ექსპერიმენტის შემდგომი კითხვარი შთაბეჭდილების გაზიარების მიზნით;
- კითხვარების შევსებისას და ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი.

უცხოური ენების სწავლა/სწავლების პრობლემატიკასთან დაკავშირებული კვლევებიდან ჩანს, რომ გრამატიკის სწავლებას ყოველთვის ენიჭებოდა პრიორიტეტი. ლექსიკის სრულყოფილად სწავლება იყო და ამ დრომდე რჩება ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. თუმცა უნდა ხდებოდეს პირიქით, ვინაიდან გრამატიკის სწავლება ლექსიკის სწავლების გარეშე წარმოუდგენელია.

მიგვაჩნია, რომ ენების სწავლების სპეციალისტებმა და ლინგვისტებმა სათანადოდ უნდა შეისწავლონ ლექსიკაზე მუშაობის თანამედროვე და ინდივიდუალური სტრატეგიები და მეთოდები, დანერგონ ისინი სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში, რომლებიც დაეხმარება მასწავლებლებს შექმნან ლექსიკის განმავითარებელი უფრო ეფექტური სავარჯიშოები და მეტი ყურადღება დაუთმონ მასზე მუშაობას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა სტუდენტები გაათვითცნობიერონ სტრატეგიების გამოყენებაში.

კვლევის სიახლედ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, იგი პასუხს სცემს დასმულ საკვლევ კითხვებს.

ნაშრომის **თეორიულ** ღირებულებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მასში განხილულია და შესწავლილი ინგლისური ენის ლექსიკის როლი უცხოური ენების სწავლების მეთოდების განვითარების ისტორიულ ჭრილში, სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის თავისებურებები; განხილულია ზემოხსენებულ საკითხზე ფსიქოლოგიურ-მეთოდური ლიტერატურა; გაანალიზებულია სტუდენტთა ფსიქოლოგიური თავისებურებები, სისტემაშია მოყვანილი ლექსიკის შესწავლის ის სტრატეგიები და ხერხები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამიზნე ენაზე (ინგლისურზე) ლექსიკური მარაგის გაზრდას უკეთესი კომუნიკაციისთვის. შედგენილია ლექსიკის სწავლების განმავითარებელი სავარჯიშოების შექმნისათვის საჭირო რეკომენდაციები.

ნაშრომის **პრაქტიკული** ღირებულებაა ის, რომ მისი გამოყენება სასარგებლო იქნება უცხოური ენის ფილოლოგიის სპეციალობისა და განათლების მეცნიერებების, არაპროფილური სასწავლებლების სპეცკურსებსა და მეცადინეობებზე. ნაშრომში ჩამოყალიბებული დასკვნა-რეკომენდაციები და მოცემული სავარჯიშოები გამოადგებათ როგორც დამწყებ, ასევე გამოცდილ მასწავლებლებს, რათა უფრო ეფექტური გახადონ ინგლისური ენის სწავლების პროცესი, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ენის საკომუნიკაციო მიზნით გამოყენებას.

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება დისერტაციის ძირითადი შინაარსის (ქართულ და ინგლისურ ენაზე), შესავლის, **ოთხი** თავის, განმარტებების ჩამონათვალის, დასკვნა-რეკომენდაციების, რამდენიმე დანართისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან. დანართის სახით წარმოდგენილია სავარჯიშოები, თვალსაჩინოებები, ჩვენ მიერ გამოყენებული კითხვარები და ტესტები. ნაშრომი შეადგენს 167 გვერდს (ლიტერატურისა და დანართების გარეშე).

თავი I. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 ენობრივი საშუალებების სწავლა/სწავლების პრობლემატიკა

თანამედროვე სამყაროში გაიზარდა უცხო ენის, კერძოდ, ინგლისურის, მოთხოვნა, რაც, უპირველეს ყოვლისა, კომუნიკაციის დამყარებას მეორე მხარესთან და საჭირო სამეტყველო და ენობრივი საშუალებების ფლობას გულისხმობს. ენობრივი საშუალებების (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა) სწავლა/სწავლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია უცხო ენის ათვისებისას და მათგან ლექსიკის სრულყოფილად დაუფლებას ცენტრალური ადგილი უკავია საგაკვეთილო პროცესში. დღეისათვის თანამედროვე სტუდენტს მასწავლებლისგან სჭირდება არა მხოლოდ ფაქტებისა და პრინციპების ცოდნა, არამედ სწორად შერჩეული მასალა და მისი კონსტრუირება სწავლების მიზნების შესაბამისად.

1.2 ლექსიკის სწავლა/სწავლების თავისებურებები ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას

უცხო ენის სწავლებისას ინგლისურის, როგორც უცხო ენის, შესწავლა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება: ინგლისური ენა და მშობლიური ენა (ჩვენს შემთხვევაში-ქართული) ენათა სხვადასხვა ჯგუფს განეკუთვნება. მათ აქვთ განსხვავებული გრამატიკული წყობა, ფონეტიკა, მართლწერა, სტრუქტურები, რომელიც სერიოზული ხელის შემშლელი პირობაა

ენის ლექსიკის სწრაფად და უკეთ ასათვისებლად. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი მეთოდების შერჩევას.

1.3 ლექსიკის სწავლების ისტორიული წანამძღვრები

ენის ლექსიკის სწავლება განხილულია ენის სწავლების მეთოდების განვითარების ისტორიულ ჭრილში. ძველად ლექსიკის სწავლება უკანა პლანზე იყო გადაწეული და ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ენის სტრუქტურასა და ფორმებზე. იყენებდნენ გრამატიკულ-მთარგმნელობით, აუდიო-ლინგუალურ, აუდიო ვიზუალურ მეთოდებს (რომლებიც ეფუძნებოდა ბიჰევიორისტულ თეორიას-ენა ისწავლებოდა ჩვევების ჩამოყალიბებით). ამ მეთოდებით მიღებული ცოდნით შემსწავლელებს არ შეეძლოთ სამიზნე ენის სათანადოდ გამოყენება. შეიქმნა სწავლების კომუნიკაციური მიდგომა/მეთოდი, რომელიც საუკეთესოა ყველა სხვა მეთოდთა შორის, რადგან ავითარებს ოთხივე უნარ-ჩვევას: კითხვას, წერას, მეტყველებასა და მოსმენას; სრულყოფილად შეისწავლება სამიზნე ენა. დავალებაზე ორიენტირებული ენის სწავლება არის მიზანზე ორიენტირებული კომუნიკაციური აქტივობა, სადაც შემსწავლელები იყენებენ ენას რეალური შედეგების მისაღებად, რაც აჩქარებს ენის შესწავლას და შემსწავლელს მოტივირებულს ხდის. სრული ფიზიკური რეაგირება/რეაქცია: მოსმენა-გაგების სავარჯიშოებით სალაპარაკო უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებენ; პირდაპირი მეთოდი, რომელიც სწავლებიდან უკუაგდება მშობლიურ ენას და მხოლოდ სამიზნე ენას იყენებს, ხოლო ჩუმი მეთოდი, აძლევს შემსწავლელს დამოუკიდებლობას.

1.4 საკვლევი საკითხისადმი მიდგომების ვითარება

თანამედროვე ლიტერატურაში

წლების განმავლობაში ენის სწავლებაში ლექსიკა არასდროს ყოფილა პრიორიტეტული. ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხო ენის შესწავ-

ლისას მისი როლისადმი ინტერესი. ამას ადასტურებს მეცნიერული კვლევებისა და პედაგოგიური მასალის ზრდა. სპეციალისტები თანხმდებიან, რომ ლექსიკური კომპეტენცია არის კომუნიკაციური კომპეტენციის ამოსავალი ნაწილი და წარმატებული, ადეკვატური კომუნიკაციის შესაძლებლობა.

1.5 სამომავლო გამოწვევები ლექსიკის სწავლებისას

ქვეთავში საუბარია იმ გამოწვევებზე, რომლებიც ენის შემსწავლელებმა უნდა გაითვალისწინონ: 1. სიტყვის ფორმასა და მნიშვნელობას შორის კავშირის სწორად შერჩევა; 2. ნაგულისხმევი მნიშვნელობისთვის სიტყვის სწორი ფორმის შერჩევა მონათესავე სიტყვების მნიშვნელობების ჩათვლით. მათ დასაძლევად შემსწავლელი უნდა: 1. დაეუფლოს სიტყვათა ისეთ დიდ რაოდენობას, რომ შეძლოს მათი გაგება, გააზრება-გამოყენება; 2. იმახსოვროს სიტყვები მუდმივად, რომ იოლად გაიხსენოს; 3. გამოიყენოს სიტყვათა შესწავლის ის სტრატეგიები, რომლებიც სიტყვების (ახალი თუ ნაცნობი) მიუჩვეველ კონტექსტში გამოყენებაში დაეხმარება.

თავი II. ლექსიკის სწავლების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები

მეორე თავში განხილულია ლექსიკის სწავლების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები: უცხო ენის სწავლება პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში, სტუდენტური ასაკის ფსიქოლოგიური თავისებურებები, შემსწავლელთა ტიპები და მათი დახასიათება, მათი სწავლის სტილი; კოგნიტური, მეტაკოგნიტური, დამახსოვრებისა და აქტივაციის სტრატეგიები როგორც უცხოური ლექსიკის უკეთ ათვისების ხელშემწყობი ფაქტორები.

2.1 უცხო ენის სწავლება პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში

ფსიქოლოგიის დარგებიდან უცხოური ენების სწავლებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ზოგადი, განათლების, ასაკობრივი, ურთიერთობის ფსიქოლოგია; ფსიქოლინგვისტიკა (შავერდაშვილი და სხვ., 2014).

ენის შესწავლის პროცესში დიდ როლს თამაშობს მეხსიერება. მასზე კი, თავის მხრივ, უზნაძის (2009) განწყობის თეორია. უცხო ენის შესწავლას თავისი უპირატესობა აქვს როგორც ადრეულ, ასევე უფროს ასაში, როდესაც უკვე ჩამოყალიბებულია ის კოგნიტური შესაძლებლობები, რომლებიც ეხმარება მათ უცხოური ენის შესწავლისას (Wright, 2010, გვ. 36-37)

მშობლიური ენა ხშირად განიხილება, როგორც ინტერფერენციის გამომწვევი მიზეზი უცხოური ენის შესწავლისას. ასევე, დიდ როლს თამაშობს ემოციური ფაქტორი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს როგორც მადეზორგანიზებელი, ასევე მამოტივირებელი ხასიათი (იმედაძე, 2006-2009)

2.2 სტუდენტური ასაკის ფსიქოლოგიური თავისებურებები

სწავლების პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია სტუდენტური ასაკისთვის დამახასიათებელი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები. ჰარვარდის კვლევების მიხედვით, „სტუდენტური აზროვნება“ სამ საფეხურს გადის. ესენია: 1) ავტორიტარული (ლექტორის შეხედულება ერთადერთ სწორ ვარიანტად განიხილება სტუდენტისთვის); 2) სტუდენტებში ჩნდება მოწოდებული ფაქტების მიმართ საკუთარი ხედვის ჩამოყალიბება; 3) აგრძელებს საკუთარი ინტერპრეტაციების ძიებას, ამავდროულად ხდება ტოლერანტული სხვისი თეორიების მიმართ (იმედაძე, 2006-2009).

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ თვალსაზრისით, ახალბედა სტუდენტები აცნობიერებენ, რომ მათ დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყეს. სწავლისადმი დამოკიდებულებაც შეგნებულია; ეძებენ საზოგადოებაში სრულყო-

ფილი ადგილის დამკვიდრებას. ასევე აღსანიშნავია სტუდენტთა გონებრივი შესაძლებლობები, ინტერესები, სულიერი სამყარო, კულტურული გარემო, პიროვნული საჭიროებები (Hilles & Sutton, 2001, გვ. 385-399).

2.3 შემსწავლელთა ტიპები და სწავლის სტილი

სხვადასხვა ადამიანს სწავლის ინდივიდუალური სტილი აქვს. აუცილებელია პედაგოგმა თვალი ადევნოს თავისივე ხერხს/ინსტრუმენტს და ასევე დაეხმაროს შემსწავლელს სტილის დადგენაში. ზოგიერთი ადამიანი ამჯობინებს სწავლის პროცესში შემდეგი მოდალობების გამოყენებას: 1. მხედველობითი; 2. სმენითი; 3. კინესთეტიკური.

ვიზუალურად შემსწავლელის ტიპი უკეთესად სწავლობს, როცა ხედავს. უყვარს ვიზუალური ინფორმაცია. მაგ., სურათები, დიაგრამები, სქემები. მისთვის აუცილებელია ხედავდეს და აღიქვამდეს მასწავლებლის სხეულის ენას. სმენითი შემსწავლელის ტიპი უკეთესად სწავლობს მოსმენით, ეხერხება მოსმენილის ინტერპრეტაცია. ხოლო კინესთეტიკური შემსწავლელის ტიპი-მოძრაობით. უყვარს, როცა ფიზიკურად არის ჩართული სასწავლო პროცესში; უყვარს პრაქტიკულ მოქმედებებში სწავლა; უჭირს კონცენტრაცია ერთ ადგილას ჯდომისას და მოსმენა; მისთვის აუცილებელია აქტივობათა მრავალფეროვნება მოტივაციის შესანარჩუნებლად. თუმცა სწავლის სტილი პირობითი ცნებაა. იგი შეიძლება შეიცვალოს დროისა და კონტექსტის მიხედვით. თუ ჩვენ ისეთ სტილს გვთავაზობენ, რომ თავს კომფორტულად არ ვგრძნობთ, მაშინ ჩვენი სწავლა ნაკლებეფექტურია.

2.4 სტრატეგიებისა და ხერხების შესწავლის ფსიქო-ლინგვისტური საფუძვლები

ლექსიკის ათვისება რთული პროცესია და შემსწავლელს ესაჭიროება გარკვეული სტრატეგიებისა და ხერხების გამოყენება. სტრატეგიები არის ის

მოქმედებები, რომლებსაც შემსწავლელი სწავლის პროცესის დროს ახორციელებს გააზრებულად თუ გაუაზრებლად, ამ პროცესის გასაადვილებლად და დასაჩქარებლად, ეფექტიანობის გასაზრდელად, ცოდნის მისაღებად (Bialystok, 1981; Rubin, 1981, გვ. 118-131; Oxford, 1990, გვ. 61-65). ლექსიკის შესწავლის სტრატეგიებს უწოდებენ: კოგნიტურს, მეტაკოგნიტურს, დამახსოვრებისა და აქტივაციის სტრატეგიებს. კოგნიტური სტრატეგია ეხმარება შემსწავლელს შექმნას და გაზარდოს ასოციაციები ახალ და უკვე ნაცნობ ინფორმაციას შორის. კოგნიტური სტრატეგიების მაგალითებია: კონტექსტის გაგება-ანალიზი, დასაბუთება. მნემონიკური სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს დააკავშირონ ახალი საკითხი ნაცნობთან. მეტაკოგნიტური სტრატეგიები ეხმარება შემსწავლელს, თავი გაართვან სასწავლო პროცესს. შესაბამისად, პედაგოგი უნდა იცნობდეს ლექსიკის შესწავლის სტრატეგიებს, გააცნოს სტუდენტებს და გამოიყენოს სწავლებისას თითოეული შემსწავლელის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

თავი III. ლექსიკის სწავლების მეთოდური საფუძვლები

მესამე თავში საუბარია უმაღლეს სასწავლებლებში უცხოური ენის ლექსიკის სწავლა/ სწავლების მეთოდურ საფუძვლებზე, რაც გულისხმობს ლექსიკის სწავლების ეტაპებს; ლექსიკაზე მუშაობის სტრატეგიებსა და ხერხებს/ახალი ლექსიკური მასალის შეთავაზებისას შესაბამის სავარჯიშოთა ტიპების მიმოხილვით, რომლებიც ხელს უწყობს ლექსიკაზე მუშაობას. ასევე განხილულია ლექსიკონზე მუშაობის მეთოდი.

3.1 ლექსიკის სწავლების ეტაპები

ვინაიდან სიტყვა რთული და მრავალფეროვანი მოვლენაა თავისი მნიშვნელობით, ფორმითა თუ გამოყენებით, უცხოური ენის შემსწავლელისთვის ერთგვარ სირთულეს წარმოადგენს. შესაბამისად, უცხოური ენის,

ინგლისურის, სწავლება ეტაპობრივად მიმდინარეობს. ეს დამოკიდებულია მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ-ასაკობრივ თავისებურებებსა და მათს შესაძლებლობებზე, მიდრეკილებებზე. ახალ სიტყვათა ათვისების მთელ პროცესს სამ ეტაპად ყოფენ, ე.წ., სამი „პ“-ს (PPP) პრინციპი (კრავეიშვილი, 2002; Cross, 1992, გვ. 119; Thornbury, 2008):

1. პირველი ეტაპი გულისხმობს ახალი მასალის შემოტანას, სემანტიზაციას; სიტყვის მნიშვნელობების გაგების კონტროლს და მასალის პირველად განმტკიცებას.
2. მეორე ეტაპი გულისხმობს ლექსიკურ ჩვევათა სრულყოფას სავარჯიშოებით.
3. მესამე ეტაპი ნიშნავს ლექსიკურ ჩვევათა მეტყველებაში ჩართვის ეტაპს სამეტყველო სავარჯიშოების შესრულებით, მის პროდუცირებას (კრავეიშვილი, 2002).

ლექსიკის სწავლა-სწავლება ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე შემსწავლელთა ენის ცოდნის დონის გათვალისწინებით.

3.2 სავარჯიშოთა ტიპები

იმისთვის, რომ შემსწავლელმა სწორად გამოიყენოს ესა თუ ის სტრატეგია, საჭიროა მასწავლებელი იცნობდეს როგორც თითოეულ სტრატეგიას, ასევე მის განვითარებასთან დაკავშირებულ აქტივობებს. აღნიშნულ ქვეთავში განხილულია სავარჯიშოთა სახეობები, რომლებიც ხელს უწყობს ლექსიკის ათვისებას. მაგ: სუფიქსებისა და პრეფიქსების გამოყენება ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად; „სიტყვათა ოჯახები-სიტყვათა ერთმანეთთან დაკავშირება“-(Word families); „გამოტოვებული ადგილების შევსება“-(Gap filling); „სემანტიკური რუკა“-(Semantic mapping); „გარითმული რიცხვები-მიბმის მეთოდი“-(Number rhymes-Peg method); სიტყვათა ბარათები (Word cards/flash cards); „მეხსიერების სასახლე-ლოკის მეთოდი (Memory

palace-Loci method); საკვანძო სიტყვის მეთოდი (Keyword method); კონტექსტის მეშვეობით სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობის მეთოდი (Guessing meaning from context).

აღნიშნულ ქვეთავში განხილულ სავარჯიშოთა სახეობები მეთოდურ კავშირშია სტრატეგიებთან. მაგ.: კოგნიტურ სტრატეგიას წარმოადგენს კონტექსტის მეშვეობით სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობა-გაგება, ლექსიკონების გამოყენება, მნემონიკური (დამახსოვრების) სტრატეგიების ნიმუშია გარითმული რიცხვების, საკვანძო სიტყვის გამოყენების მეთოდი, ლოკის მეთოდი.

თავი IV. პედაგოგიური ექსპერიმენტის მსვლელობა და შედეგების ანალიზი

მეოთხე თავში დეტალურადაა განხილული კვლევა ლექსიკის ათვისების სტრატეგიების შესახებ, რაც ითვალისწინებს სტუდენტთა და მასწავლებლებთან ლექსიკაზე მუშაობის სტრატეგიებისა და ხერხების, ლექსიკის მიმართ დამოკიდებულების შესახებ, სწავლის სტილის, ექსპერიმენტის შემდგომ შთაბეჭდილების გამოსავლენი კითხვარების მიწოდების აღწერას, გამოკითხვის შედეგების ანალიზს; ექსპერიმენტულ ჯგუფებში ლექსიკაზე მუშაობისას სავარჯიშოების შეტანასა და ნამუშევრების შედეგების ანალიზს. ექსპერიმენტისას დაცული იყო ანონიმურობა. შემუშავდა დასკვნარეკომენდაციები.

4.1 ექსპერიმენტული სწავლება, მიზანი და მეთოდოლოგია

ექსპერიმენტის მიზანი იყო, შეგვემოწმებინა ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა და დავრწმუნებულიყავით ჩვენ მიერ შერჩეული მასალის, სავარჯიშოების გამოყენების ეფექტურობაში ლექსიკაზე მუშაობის სტრატეგიებისა და ხერხების განვითარების მიზნით.

4.2 სტუდენტებისა და მასწავლებლების ანკეტირება და შედეგების ანალიზი

უნივერსიტეტებში მასწავლებლებისა და სტუდენტების გამოკითხვის მიზანი იყო ინგლისური ენის ლექსიკის სწავლა/სწავლისადმი მათი დამოკიდებულების კვლევა. გვაინტერესებდა, იცნობდნენ თუ არა ლექსიკის შესწავლის სტრატეგიებს და რა ხერხებსა და სტრატეგიებს იყენებდნენ მის ასათვისებლად. ანკეტირების შედეგად მიღებული ანალიზის მიხედვით, შემსწავლელები მხოლოდ რამდენიმე სტრატეგიას ანიჭებენ უპირატესობას. მასწავლებელთა პასუხებიდან გაირკვა, რომ მეტ ყურადღებას უთმობდნენ გრამატიკას, შემდეგ-საუბარს. ხოლო 10-10%-ს ლექსიკას, კითხვასა და წერას. შესაბამისად, შემსწავლელებში ლექსიკის ათვისებას ერთგვარი სირთულე ახლდა.

4.3 ექსპერიმენტული სწავლება

იმის შესამოწმებლად, საჭირო იქნებოდა თუ არა ექსპერიმენტის გაგრძელება და საკითხის შემდგომი შესწავლა, თავდაპირველად ჩავატარეთ მინი ექსპერიმენტი ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალ-სასწავლო უნივერსიტეტში 2011 წელს ერთი თვის განმავლობაში, არაპროფილურ ფაკულტეტებზე (ბიზნესის ადმინისტრირება და მართვა, სოციალური მეცნიერებები). შევარჩიეთ 15-15 სტუდენტი (17-20წ.) ინგლისური ენის მაქსიმალურად ერთნაირი ცოდნის დონით, რომელიც განისაზღვრა დონის დასადგენი ტესტით (Total English placement test). მინი ექსპერიმენტის დასაწყისში და შემდეგ მინი კითხვარის შედეგების ანალიზისას განსხვავებული შედეგები მივიღეთ: ექსპერიმენტულ ჯგუფში გამოიკვეთა ლექსიკის უპირატესობა (იხ. ცხრილი N6/8. ენობრივი კომპონენტების მიმართ სტუდენტთა დამოკიდებულება მინი ექსპერიმენტის დასაწყისში და შემდეგ).

ცხრილი N 6/8ენობრივი კომპონენტების მიმართ სტუდენტთა
დამოკიდებულება მინი ექსპერიმენტის დასაწყისში და შემდეგ:

კითხვა N 1. თქვენი აზრით, რომელი კომპონენტი უფრო აუცილებელია ლექსიკის დასაუფლებლად?				
კომპონენტ ები	ექსპერიმენტული ჯგუფი		საკონტროლო ჯგუფი	
	ექსპერიმენტამდე	ექსპ.შემდეგ	ექსპერიმენტამდე	ექსპ.შემდეგ
ლექსიკა	15 %	45 %	18 %	20 %
გრამატიკა	25 %	15 %	21 %	19 %
მოსმენა	3 %	3 %	4 %	4 %
საუბარი	25 %	15 %	20%	20%
ფონეტიკა	2 %	2 %	5 %	5 %
კითხვა	20 %	15%	20%	20%
წერა	10 %	5%	12 %	12 %


მიღებული შედეგების გათვალისწინებით ჩავატარეთ გრძელვადიანი ექსპერიმენტი, რომელიც მიმდინარეობდა იმავე უნივერსიტეტში 20-20 სტუდენტიან საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში სემესტრულად 2012-2013, 2013-2014 წლებში A1-A2 დონეზე. ვინაიდან შემსწავლელებს პრობლემები ჰქონდათ ინგლისური ენის ლექსიკის შესწავლასთან დაკავშირებით, მივიჩნიეთ, რომ სასურველი იქნებოდა საწყის საფეხურებზე კვლევის ჩატარება, მათთვის ლექსიკის შესწავლის სტრატეგიებისა და ხერხების გაცნობა ენის სწავლის შედეგების ეფექტურობის გაზრდის მიზნით და შემდგომ B1-B2 დონეებზე შეუფერხებლად სწავლისთვის. საკონტროლო ჯგუფში ტრადიციული მეთოდით სწავლებისგან განსხვავებით ექსპერიმენტულ ჯგუფში უნივერსიტეტის პროგრამას დაემატა ჩვენ მიერ მოძიებული და უკვე აპრობირებული ლექსიკის განმავითარებელი სავარჯიშოები. დავიცავით მონაწილეთა ანონიმურობა, დავადგინეთ მონაწილეთა სწავლის სტილი, განისაზღვრა ცვლადები: **დამოუკიდებელი ცვლადი**, რომელიც

კვლევის პირობებით განისაზღვრება, ჩვენს შემთხვევაში ესაა უკვე არსებული (ტრადიციული) თუ ჩვენ მიერ შეთავაზებული სავარჯიშოები ლექსიკის უნარ-ჩვევის განვითარების მიზნით. დამოკიდებული ცვლადი, რომელიც იცვლება დამოუკიდებელი ცვლადის შეცვლისას-ლექსიკის ფლობის დონე. მოდერატორი ცვლადი-დამატებითი დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალურად შერჩეულ საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებს; სწავლის სტილს: ვიზუალ თუ აუდიალ შემსწავლელთა რაოდენობას. კონტროლირებადი ცვლადი, რომლის მუდმივ დონეზე შენარჩუნებაა საჭირო, ანუ რომელიც მუდმივი კონტროლის ქვეშაა-შემსწავლელთა ასაკი. ექსპერიმენტის შინაგანი ვალიდობის უზრუნველყოფის მიზნით, ორივე ჯგუფს ჩავუტარეთ ლექსიკის ცოდნის დონის შესამოწმებელი ტესტირება. ჩავუტარეთ როგორც ექსპერიმენტამდელი ასევე შუა ექსპერიმენტული და ექსპერიმენტის შემდგომი ტესტირებები, საბოლოო შედეგების შედარების მიზნით.


4.4 ექსპერიმენტის შედეგები

ჩემი დაკვირვებით და მოსაზრებით, ვინაიდან იცოდნენ, რომ ვანხორციელებდით ექსპერიმენტს, ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები უფრო გახალისდნენ და ცდილობდნენ ერთმანეთზე და მეორე (საკონტროლო) ჯგუფზე უკეთესი შედეგები ეჩვენებინათ. დასასრულს ტესტირებამ მნიშვნელოვანი ცვლილება გვაჩვენა. ექსპერიმენტის მსვლელობისას და შემდგომ ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებს უფრო მაღალი აკადემიური შედეგები ჰქონდათ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში მომუშავეთ (თუმცა აქაც შეინიშნებოდა მცირეოდენი სხვაობა). (იხ. დიაგრამა N6. სტუდენტთა ლექსიკის ცოდნის დონე ექსპერიმენტის დასაწყისში, მსვლელობისას და დასასრულს).

დიაგრამა N6. სტუდენტთა ლექსიკის ცოდნის დონე ექსპერიმენტის და-
საწყისში, მსვლელობისას და დასასრულს:



დიაგრამა N 7. საშუალო ქულადა ზრდის მაჩვენებელი:



4.5 ექსპერიმენტის შემდგომი ინტერვიუ

მათი შთაბეჭდილებებისა და ლექსიკის შესწავლის მიმართ დამოკიდებულების გასაგებად ჩავატარეთ ე.წ. ექსპერიმენტის შემდგომი გამოკითხვა. ინტერვიუ განვახორციელეთ ზეპირად, თითოეული ჯგუფიდან მათი სურვილის მიხედვით შევარჩიეთ 4-4 სტუდენტი, ვინიშნავდით პასუხებს შემ-

დგომი ანალიზისთვის. ინტერვიუ თითოეულ სტუდენტთან გრძელდება და დაახლოებით 15-20 წუთი. საექსპერიმენტო ჯგუფის სტუდენტებთან შეინიშნებოდა ლექსიკის შესწავლის მეთოდების მიმართ ერთგვარი განსხვავებული დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესი. ისინი დადებითად აფასებდნენ ექსპერიმენტს სხვადასხვა სტრატეგიის შესწავლის თვალსაზრისით, რომელსაც შემდეგში დამოუკიდებლად გამოიყენებდნენ, გააცნობიერეს რა ლექსიკის შესწავლის მნიშვნელობა წარმატებული კომუნიკაციისათვის. ნაკლებ დამღლელად ეჩვენათ სასწავლო პროცესი.

4.6 მითითებები მომავალი კვლევისთვის

ერთი ყველაზე საუკეთესო გზა ახალი სიტყვების შეთვისებისას და სიტყვათა მარაგის გამდიდრებისას, როგორც ეს მშობლიურ ენაში ხდება, არის ინტენსიური რეალური გარემო პირობები (Krashen, 1982). თუმცა ჯერ კიდევ სირთულეს წარმოადგენს ბუნებრივი ინგლისურენოვანი სასწავლო გარემოს შექმნა სასწავლებლებში. ამიტომ სასურველი იქნება და მიგვაჩნია, რომ ენის, ლექსიკის შესწავლის სტრატეგიების გაცნობა და შესწავლა, მასწავლებლების მხრიდან შესაბამისი სავარჯიშოების შემუშავება ხელს შეუწყობს შემსწავლელთა სასწავლო გამოცდილების რეალურად ეფექტურ და სწავლის პროცესის სასიამოვნოდ გადაქცევას. ამისთვის უკვე არსებული, ტრადიციული და თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების ინტეგრირებულად სწავლებას უნდა იყენებდნენ აუდიტორიაში თუ მის გარეთ; შემდგომ კვლევებში უფრო მეტი მონაწილე უნდა ჩაერთოს; აღნიშნული კვლევიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს ახალი კვლევები, მაგალითად: რამდენადაა ურთიერთკავშირში ლექსიკა და საკომუნიკაციო / სამეტყველო კომპეტენცია; ლინგვისტური თვალსაზრისით სიტყვის კატეგორიზაციის უნარ-ჩვევების განვითარება.

დასკვნა-რეკომენდაციები

ექსპერიმენტის მსვლელობისას ვიყენებდით **სწავლების** სხვადასხვა **მეთოდს**, ვინაიდან გვინტერესებდა, რამდენად ითვისებდნენ ლექსიკურ მასალას შემსწავლელები. სხვა აქტივობებთან ერთად ვიყენებდით **გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდს**, რომელიც უზრუნველყოფს გარკვეული სიტყვებისა (ჩვენს შემთხვევაში გვინტერესებდა უცხო სიტყვები) და ფრაზების თარგმანს მშობლიურ ენაზე. ასევე გამოვიყენეთ **აუდიო-ვიზუალური მეთოდი**, რომელიც გარკვეულწილად უზრუნველყოფს ზეპირ შეუფერხებლობას, ხოლო ზეპირ შეუფერხებლობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ლექსიკური მარაგი. აუდიო-ვიზუალური მეთოდი, ასევე, საუკეთესო საშუალებაა ახალი მასალის, კერძოდ, ლექსიკის, სიტყვათა ბარათების წარდგენისა და ინსტრუქციების პრეზენტაციისთვის. შეძლებისდაგვარად ცდილობდით **ბუნებრივი მეთოდის** გამოყენებას, რომლის დროსაც საჭიროა ბუნებრივი, უცხოენოვანი გარემოს შექმნა. სტუდენტები თავადვე ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ნასწავლი ლექსიკა. კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც აქტიურად გამოვიყენეთ, არის **ენის სწავლების კომუნიკაციური (მიდგომა) მეთოდი**, რომელიც ნაკლებად ფოკუსირდება გრამატიკული სტრუქტურებისა და ფორმების სწავლებაზე, ხოლო სამიზნე ენის შესწავლისას ძირითადი აქცენტი გადატანილია საუბარსა და მნიშვნელობის გაგებაზე. კომუნიკაციისას სიტყვის მრავალმნიშვნელობიანობის შეძენის მნიშვნელობის შეცნობამ ლექსიკა სწავლის ობიექტად აქცია და შემსწავლელს საშუალება მისცა ენა ავთენტურ და ფუნქციურ კონტექსტში გამოეყენებინა. ლექსიკური კომპეტენცია არის კომუნიკაციური კომპეტენციის ამოსავალი წერტილი და წარმატებული და ადეკვატური კომუნიკაციის შესაძლებლობა. ასევე კვლევაში ვიყენებდით მნიშვნელოვან **მეთოდებს**: სიტყვათა ფორმირების, ოჯახების, აფიქსაციის, დავალებაზე ორიენტირებულ ენის შესწავლის მეთოდს, ლექსიკონზე მუშაობის სტრატეგიას, ლოკისა და „მიბმის“ (peg)

მეთოდს, საკვანძო სიტყვისა და კონტექსტის მეშვეობით სიტყვის გამოცნობის მეთოდებს.

საკვლევ პრობლემაზე არსებული ლიტერატურის ანალიზმა, ჩვენ მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის ექსპერიმენტულმა შემოწმებამ, ექსპერიმენტამდე და ექსპერიმენტის შემდგომ ჩატარებული გამოკითხვების ანალიზმა მიგვიყვანა იმ **დასკვნამდე**, რომ:

- ექსპერიმენტში მონაწილე ორივე ჯგუფში შემსწავლელები მეტნაკლებად ერკვევიან ან იყენებენ წინამდებარე ნაშრომში კვლევის მსვლელობისას შეთავაზებული ლექსიკის შესწავლის სპეციფიკურ სტრატეგიებს, როგორიცაა: სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის განმსაზღვრელი სტრატეგია (determinating), კოგნიტიური და მეტაკოგნიტიური სტრატეგიები, რაც პროცენტულად შემდეგნაირად გამოიყურება :
- სტუდენტები უმთავრესად ცდილობენ სიტყვა გამოიცნონ კონტექსტში-ექსპერიმენტულ ჯგუფში-(40%), საკონტროლო ჯგუფში-(25%); სიტყვის ძირითად სტრატეგიას იყენებს ექსპერიმენტულ ჯგუფში-(20%), ხოლო საკონტროლო ჯგუფში-(20%). იყენებს როგორც ერთენოვან, ასევე ორენოვან ლექსიკონს: ექსპერიმენტულ ჯგუფში-(20%), საკონტროლო ჯგუფში-(15%); ცდილობს საუბრისას დამახსოვრების გზით ისწავლოს სიტყვა: ექსპერიმენტულში-(10%), საკონტროლოში-(8%); იყენებს ვიზუალურ საშუალებებს (ლოკის მეთოდს) ექსპერიმენტულში-(10%); საკონტროლო ჯგუფში- (5 %).
- ზემოთ ჩამოთვლილი და ექსპერიმენტისას გამოყენებული მეთოდური სავარჯიშოები ხელს უწყობს სტუდენტთა კომპეტენციის ამაღლებას, კერძოდ, ინგლისური ენის ლექსიკის დონის გაუმჯობესებას.
- მეცნიერები თანხმდებიან, რომ უცხოური ენის სწავლებაში ლექსიკას წამყვანი ადგილი უჭირავს. თუმცა მასწავლებლებისთვის სტუდენტებისთვის ლექსიკის სწავლება ერთგვარ სირთულეს წარმოადგენს. ამ პრობლემის გადასაჭრელად სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიების შესწავლა და გამოყენებაა საჭირო.

- ვინაიდან ენის სწავლისთვის ბუნებრივი გარემოს შექმნა დღესდღეობით საქართველოში ნაკლებად შესაძლებელია და შესაბამისად ენის შესწავლის ნაკლები ბუნებრივი მოტივაციაა, მასწავლებლის ამოცანაა, ამ მოტივაციის სტიმულირება. ამიტომ, მხოლოდ მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების ტრადიციული მეთოდების გამოყენება, სადაც შემსწავლელთა საჭიროებები ნაკლებადაა გათვალისწინებული, ამის მიღწევაში ვერ დაგვეხმარება.
- ლექსიკის შესწავლის სტრატეგიები და ხერხები ეხმარება ენის შემსწავლელს უცხოური ენის ლექსიკური მარაგის გაზრდაში.
- ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით თანამედროვე მეთოდები, კომუნიკაციური სწავლება, მეტ ყურადღებას უთმობს კოგნიტური და მეტაკოგნიტური, მნემონიკური სტრატეგიების განვითარებას. მაგ.: კონტექსტუალური და მორფოლოგიური ანალიზი, სიტყვაწარმოება, ლექსიკონზე მუშაობის მეთოდი, ძირითადი სიტყვის მეთოდი, ლოკის მეთოდი შემსწავლელს ეხმარება სიტყვების დამახსოვრებასა და ნებისმიერ დროს აღდგენა-გახსენებაში.
- ლექსიკის შესწავლის სტრატეგიები უფრო მეტად ავითარებს ინგლისური ენის ლექსიკის შესწავლის უნარ-ჩვევებს, ვიდრე ლექსიკის შესასწავლად ტრადიციული მეთოდების გამოყენება.
- შემსწავლელთა, კერძოდ სტუდენტთა, ასაკობრივი თავისებურებების, სწავლის სტილის ცოდნა და მასზე დაყრდნობით სავარჯიშოების შექმნა და სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლას უფრო ეფექტურს და შედეგიანს ხდის.

ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე, ჰქონდა თუ არა დადებითი გავლენა სტრატეგიების ცოდნას მათზე, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ინგლისური ენის ლექსიკის შესწავლის მიმართ, ცდის პირებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული სავარჯიშოებითა და სტრატეგიების შესახებ ინფორმირებულობამ მნიშვნელოვანი და დადებითი გავლენა იქონია მათი ინგლისური ენის ლექსიკის ცოდნის დონეზე.

ვფიქრობთ, რომ მათი პრაქტიკაში გააზრებული გამოყენება დროსთან ერთად უკეთეს შედეგებს მოუტანს არა მარტო ინგლისური ენის ლექსიკის ათვისების, არამედ ნებისმიერი საგნის შესწავლის საქმეში. აღნიშნულ დასკვნაზე დაყრდნობით, საჭიროდ მივიჩნევთ, ინგლისური ენის მასწავლებლებს გავუწიოთ შემდეგი სახის **რეკომენდაციები**:

- სასწავლო სილაბუსში შეიტანონ ინგლისური ენის ლექსიკის სწავლა/სწავლების სტრატეგიების გასაუმჯობესებელი უკვე აპრობირებული სავარჯიშოები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ენის შესწავლის გაუმჯობესებას;
- გაეცნონ ლექსიკის სწავლა/სწავლების ინოვაციურ სტრატეგიებს, რათა შემდგომში შემსწავლელებს მიაწოდონ ისინი;
- შემსწავლელებს გააცნონ არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა სტრატეგია, ვინაიდან წარმატებულ სტუდენტებს ახასიათებთ სტრატეგიათა მრავალფეროვნების გამოყენება;
- სასურველია, მასწავლებლებმა ჩვენ მიერ შეთავაზებული „საექსპერიმენტო სავარჯიშოების“ ანალოგების შემუშავებით წარმართონ სასწავლო პროცესი როგორც აუდიტორიის შიგნით, ასევე მის გარეთ საშინაო დავალებების სახით;
- აუცილებელია ლექსიკის შესწავლის სტრატეგიების კოგნიტური, მეტაკოგნიტური, დამახსოვრებისა და აქტივაციის სტრატეგიების, როგორც უცხო ენის უკეთ ათვისების ხელშემწყობი ფაქტორების, გათვალისწინებით შეიმუშავონ სავარჯიშოები და შეიტანონ სასწავლო პროგრამებში;
- გაეცნონ შემსწავლელთა ტიპებსა და მათი სწავლის სტილს, რათა მათი ინდივიდუალურობის გათვალისწინებით უკეთ წარმართონ სწავლების პროცესი;
- გაეცნონ სწავლის სტილს, ვინაიდან წარმატებული სტუდენტები ირჩევენ სწავლის მრავალფეროვან სტილს;
- გაეცნონ შემსწავლელთა (სტუდენტთა) ასაკობრივ თავისებურებებს;

- ლექსიკის შესწავლას უფრო მეტი დრო დაეთმოს სასწავლო პროგრამით ლექციებზე;
- არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება აქცენტის გაკეთება სასკოლო განათლების ფარგლებში მსგავსი ტიპის სავარჯიშოებზე მუშაობაზე, რათა საუნივერსიტეტო სფეროს შემსწავლელები უფრო მომზადებულნი შეხვდნენ;

წარმოდგენილი დისერტაცია არის ნაშრომი, რომელიც მიმოიხილავს ინგლისური ენის, კერძოდ, ლექსიკის შესწავლის შესახებ არსებულ ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ თუ მეთოდურ ლიტერატურას, ახდენს არსებული ცოდნის ახლებურად გააზრებას.

აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით თემატიკა წარმოდგენილია სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაზე და ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. **ნადირაშვილი, თ.** (2014). ინგლისური ენის ლექსიკაზე მუშაობის სტრატეგიები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: კომპიუტინგი/ ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება. ბათუმი. 17-19 ოქტომბერი; სამეცნიერო შრომები-Transactions.
2. **ნადირაშვილი, თ.** (2015). Vocabulary and its Role in English Language Teaching. საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი FENESTRA. Vol 1. მაკედონია. გვ. 114-118.
3. **ნადირაშვილი, თ. & დანელია, ი.** (2015). Keyword Method Effects for Vocabulary Acquisition. მეხუთე საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია განათლებაზე. საკონფერენციო მასალები, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 1-2 მაისი, ISSN 2298-0180. გვ. 320-323.
4. **ნადირაშვილი, თ. & დანელია, ი.** (2015). Vocabulary Learning through Context. მეხუთე საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია განათლებაზე. საკონფერენციო მასალები, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 1-2 მაისი, ISSN 2298-0180. გვ. 324-330.

Iakob Gogebashvili Telavi State University

With right of manuscript

Tamta Nadirashvili

**English Language Vocabulary Teaching/Learning Strategies
and Techniques at Universities
(While Teaching a Foreign Language)**

A b s t r a c t

of the dissertation submitted to gain the
Academic Degree of Doctor of Teacher Education
(in English Language Teaching Methodology)

Telavi
2015

The Research has been carried out at the Department of Educational Sciences of the
Faculty of Educational Sciences at Iakob Gogebashvili Telavi State University

Academic Supervisor: **Ira Danelia**

Doctor of Education, Assoc. Prof.

Reviewers: **Tamar Mikeladze**

Doctor of Education, Assoc. Prof.

Maia Chkotua

Doctor of Education, Assoc. Prof.

Dissertation will take place in 2015 on ‘___’ _____ at ___ o’clock at the meeting
of the Dissertation Board of the Faculty of Educational Sciences at Iakob
Gogebashvili Telavi State University. Building 2, room N 12.


Address: Telavi, 2200, Georgia

Kartuli Universiteti Street N1

Tel: +995 350 27 11 76, 27 32 67

The Dissertation is available in the library of Iakob Gogebashvili Telavi State
